



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
სხდომის ოქმი № 3/ 2017

თბილისი

17 თებერვალი 2018 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15.00

სხდომის დასრულების დრო: 16.00

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. თამარ ლალიაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
4. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: პროფ. კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

თჰუ აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი):

მოისმინეს:

პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ მიმდინარე მომენტისთვის თჰუ-ში არის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, ასევე საჭიროა, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ენაზე სწავლების უნარის მქონე და აფილირებული აკადემიური პერსონალის მოზიდვა, რაც იძლევა საშუალებას:

- გამოცხადდეს ღია კონკურსი;
- შეიქმნას საკონკურსო კომისია;
- განისაზღვროს კონკურსის ჩატარების დრო და პირობები.

პროფ. კ. ყურაშვილმა წარმოადგინა ვაკანტური საშტატო ერთეულების ნუსხა შემდეგი სახით:

სამართლის ფაკულტეტზე:

1. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში:

- 1.1. აფილირებული ასოცირებული პროფესორი (მიმართულება - სამართალი; დარგი/სპეციალობა - კერძო სამართალი) – 1 საშტატო ერთეული;

1.2. აფილირებული ასოცირებული პროფესორი (მიმართულება - სამართალი; დარგი/სპეციალობა- სისხლის სამართალი) – 1 სამტატო ერთეული;

1.3. აფილირებული ასოცირებული პროფესორი (მიმართულება - სამართალი; დარგი/სპეციალობა- საერთაშორისო სამართალი) – 1 სამტატო ერთეული;

პროფ. ვ. ყურაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატთა სია, შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზაზა რუხაძე - სამართლის დოქტორი, თავმჯდომარე;
- ბ) ლალი ფაფიაშვილი - სამართლის დოქტორი, წევრი;
- გ) ნინო ხუნაშვილი - სამართლის დოქტორი, წევრი.

ასევე, მომხსენებელმა სხდომის წევრებს გააცნო თქუ დებულების შესაბამისად, კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კითხულობს):

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც:

- ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
- ბ) აქვს სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- გ) ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;
- დ) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინაში მომზადებულ სილაბუსს/სილაბუსებს ქართულ და ინგლისურ/გერმანულ ენაზე;
- ე) საკონკურსო განცხადებასთან ერთად შეავსებს განცხადების ტიპიური ფორმას, რომელშიც განაცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას საქართველოს კანონმდებლობითა და თქუ დებულებით განსაზღვრულზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მეტი დატვირთვით, რათა ავტორიზაციის/აკრედიტაციის მიზნებისათვის იგი უდავოდ ჩაითვალოს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალად;
- ვ) აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა ან/და თქუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ სხვა საკონკურსო პირობებს.

პროფ. ვ. ყურაშვილმა ასევე სხდომას მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია, აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობებისა და აფილირებულობასთან დაკავშირებით:

- ა) აკადემიური პერსონალის ღია კონკურსით არჩევის შემდეგ რექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება მათი აკადემიურ თანამდებობებზე განწესების შესახებ;
- ბ) აკადემიურ პერსონალთან ასევე ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით;
- გ) აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან აფილირებულია თუ:
 - გ.ა) მასთან დადებულია „A“ კატეგორიის შრომის ხელშეკრულება და მას არ აქვს დადებული სხვა უსდ-თან აფილირებულობის შესახებ შეთანხმება ან/და აფილირებულობის დამადასტურებელი შრომის ხელშეკრულება;
 - გ.ბ) იგი საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში მონაწილეობს მხოლოდ საკუთარი ან თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სახელით;
 - გ.გ.) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში გააჩნია შესაბამისი მინიმალური აკადემიური დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;
 - გ.დ) აფილირებულ აკადემიურ პერსონალს არ ეკისრება შესაბამისი მინიმალური აკადემიური დატვირთვის შესრულების ვალდებულება, თუ:

გ.დ.ა) არც ერთ სხვა უსდ-თან არ თანამშრომლობს;

გ.დ.ბ) პარალელურად დასაქმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ/დამხმარე (არა აკადემიურ) პოზიციაზე.

კ. ყურაშვილმა სხდომაზე განსახილველად წარმოდგინა კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

კონკურსში მონაწილემ საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- CV (რეზიუმე); ბეჭდური და ელექტრონული უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებულ ფორმაში (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
- აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის/სხვა დიპლომების ასლები; უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში – აპოსტილით დამოწმებული ფორმით;
- უცხო ენის (ინგლისური ან/და გერმანული) ფლობის სერტიფიკატი (C1 დონე);
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი ცნობები;
- ქართულ და აგრეთვე ინგლისურ ან/და გერმანულ ენებზე ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით სილაბუსი/სილაბუსები თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით;
- ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების /სტატიების სია ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას, სხვა შემთხვევაში – პირადი ხელმოწერით დადასტურებული, ყველა ნაშრომის თავფურცლის, სარჩევისა და სტატიის ამონარიდის დართვით;
- განაცხადი, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, კონკურსანტი ავტორიზაციის/ნაკრედიტაციის მიზნებისათვის თანახმაა ჩაითვალოს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალად;

პროფ. კ. ყურაშვილმა დაასახელა და კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხები:

- ა) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი გამოცხადეს 2018 წლი 20 თებერვლიდან;
- ბ) ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების მიღება განხორციელდეს მისამართზე: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N 31; 2018 წლის 21 მარტიდან 10.00 საათიდან 2018 წლის 7 აპრილის ჩათვლით 17.00 საათამდე, კვირის და სადღესასწაულო დღეების გარდა.
- გ) საკონკურსო კომისიის სხდომა დაინიშნოს 2018 წლის 10 აპრილს 10.00 საათზე, ხოლო კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საკონკურსო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე;

აზრი გამოთქვა: პროფ. თამარ ლალიაშვილმა

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. თჰუ-ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 20 თებერვლიდან;

2. თპუ-ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად განცხადებების მიღება განხორციელდეს 2018 წლის 21 მარტიდან 2018 წლის 7 აპრილის ჩათვლით;
3. შეიქმნას საკონკურსო კომისია პროფ. კ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით:
 - ა) ზაზა რუხაძე - სამართლის დოქტორი, თავმჯდომარე;
 - ბ) ლალი ფაფიაშვილი - სამართლის დოქტორი, წევრი;
 - გ) ნინო ხუნაშვილი - სამართლის დოქტორი, წევრი.
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა წარმოდგენილი სახით;
5. საკონკურსო კომისიის სხდომა დაინიშნოს 2018 წლის 10 აპრილს 10.00 საათზე, ხოლო კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საკონკურსო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე;
6. აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსში გამარჯვებულები (არჩეულები) აკადემიურ თანამდებობებზე განწესდნენ შესაბამისი ვადით;
7. ეს გადაწყვეტილება და ცნობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აგრეთვე, გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით;
8. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

კ. ყურაშვილი